



საქართველოს  
სახალხო დამცველი

# საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№3

პერიოდული გამოცემა  
2015 წ. მარტი



გამოცემულია ევროკავშირის პროექტის  
„საქართველოს სახალხო დამცველის  
აპარატის ხელშეწყობა“ მხარდაჭერით

## 1. სახალხო დამცველის მისალმება



საქართველოს სახალხო დამცველი  
გიორგი ნანსაშვილი

მარტის ბოლოს საქართველოს პარლამენტში წარვადგინე 2014 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ საკმაოდ მოცულობითი, 904 გვერდიანი ანგარიში, რომელიც გასულ წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის დადებით და უარყოფით ტენდენციებს ავლენს. ასეთი დიდი ზომის დოკუმენტის შემუშავება ლოგიკურია იმის გათვალისწინებით, რომ გასულ წელს 7 ათასამდე განცხადებაზე დავინწყეთ საქმის წარმოება, რაც 2013 წელთან შედარებით გაორმაგებული მაჩვენებელია, ხოლო წინა წლებთან მიმართებაში გასამმაგებული. ამ მხრივ აღსანიშნავია ისიც, რომ სახალხო დამცველის აპარატს ახალი ფუნქციები დაემატა და შესაბამისად, საქმიანობის მასშტაბები გაიზარდა. მომართვიანობის ზრდა ხაზს უსვამს საზოგადოებაში ადამიანის უფლებების მიმართ ცნობადობის ამაღლებისა და ოფისისადმი მაღალი მოლოდინების ფაქტს, ამასთან, მიუთითებს ქვეყანაში გაცილებით თავისუფალი გარემოს არსებობაზე.

ჩვენი მიზანია, მოვიცვათ ადამიანის უფლებათა შეძლებისდაგვარად ფართო სპექტრი და საზოგადოების, ხელისუფლების ყურადღება ეგრეთ წოდებული ტრადიციული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების გარდა, ასევე გავამახვილოთ ისეთ მიმართულებებზე, რაც ხშირ შემთხვევაში მივიწყებულიც კი არის. სწორედ ამ მიზნით პირველად წელს საპარლამენტო ანგარიშში რამდენიმე ახალი თავი შევიტანეთ. (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება, კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების მდგომარეობა, საქართველოში უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა), თუმცა შეიძლება კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა სათქმელი, შესასწავლი, გამოსაკვლევ და მოსაძიებელი.

### შინაურსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება	1
2. მთავარი მოვლანა	2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს	4
4. სახალხო დამცველის წინადადება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს	5
5. გასული თვის მოვლანები	7
6. სახალხო დამცველის აპარატის სალკაული სასახურის პერიოდული საქმიანობა	13
7. წარმატებული საქმეები	15
8. სხვა სიახლეები	17
9. ღირსშესანიშნავი თარიღები	18
10. საქართველოს სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით	19
11. სახალხო დამცველის აპარატის აგება	20
12. კონტაქტი	21

ანგარიში, მიმოიხილავს 2014 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, თავს უყრის ძირითად ტენდენციებს, მიმართულებებს, ზოგადი პრობლემებიდან გამოკვეთილ კონკრეტულ საკითხებს, შემუშავებულ რეკომენდაციებს. ჩვენი საპარლამენტო ანგარიში მოცულობითი, შინაარსობრივად მრავალფეროვანი და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ვფიქრობ საინტერესო დოკუმენტია. ანგარიშის შესახებ მოკლე მიმოხილვა შეგიძლიათ ბიულეტენის მთავარი მოვლენის თავში იხილოთ.

მარტი სხვა მოვლენებითაც იყო დატვირთული; გასულ თვეს საზოგადოებას 4 სპეციალური ანგარიში წარუდგინეთ, 7 რეკომენდაცია და წინადადება გავუგზავნეთ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, აქედან, ერთი რეკომენდაცია მარტის თვეშივე წარმატებით შესრულდა.

მინდა ცალკე გამოვყო ჩემი შეხვედრები ჟენევაში. 3 დღეში მე და ჩემმა რამდენიმე თანამშრომელმა უამრავი შეხვედრა გავმართეთ. შეხვედრით ორგანიზაცია „წამების პრევენციის ასოციაციის“ წარმომადგენლებს; დავესწარი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის გენერალური ასამბლეის შეხვედრას, სადაც მხარი დავუჭირეთ აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვას აუცილებლობის შესახებ მიღებულ საგანგებო განცხადებას; სამუშაო შეხვედრები გვქონდა იქვე, ქსელის ფინანსურ და საკოორდინაციო კომიტეტებში, რომლის ნევრიც საქართველოს ომბუდსმენი უკვე ორი წელია ოფიციალურად არის; შეხვედრით გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოადგილეს ფლავია პანსიერის და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ პერსპექტივებსა და შესაძლებლობებზე ვისაუბრეთ; მონაწილეობა მივიღეთ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის 28-ე ყოველწლიურ შეხვედრაში; გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წარმომადგენლებთან პრევენციის ეროვნული მექანიზმის ახლადშექმნილი საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის პრინციპები განვიხილეთ; შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის რეგიონულ ხელმძღვანელთან ომბუდსმენის აპარატში თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნის საკითხსა და მუშაობის სტრატეგიაზე ვისაუბრეთ, ერთობლივი ღონისძიებებიც კი დავგეგმეთ; გაეროს იძულებით გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის კომიტეტის მდივანთან იძულებითი გაუჩინარებისგან

ყველა პირის დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის რატიფიცირების საკითხი განვიხილეთ.

მინდა ვთქვა, რომ ჟენევის შეხვედრები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ევროპული პრაქტიკის გაზიარებისა და საქართველოში მიმდინარე ცვლილებების შესახებ ცნობადობის ამაღლების საუკეთესო საშუალება იყო.

მე აქ შევჩერდები და იმედს გამოვთქვამ, რომ ბიულეტენში ასახული სხვა უამრავი მასალაც თქვენთვის საინტერესო და ინფორმაციული იქნება.

## 2. მოხარე მოვლენა

### 2.1. სახალხო დამცველის წლიური ანგარიში - 2014

**31 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს ქვეყანაში 2014 წელს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. 904 გვერდიანი ანგარიში მიმოიხილავს სამოქალაქო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა ფართო სპექტრს. ასევე, ყურადღებას ამახვილებს საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა სფეროში გამოვლენილ დადებით და უარყოფით ტენდენციებზე და თავს უყრის სახალხო დამცველის მიერ ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მისამართით შემუშავებულ ძირითად რეკომენდაციებს.

2014 წელი რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა, რასაც შეუძლია ადამიანის უფლებათა სტანდარტების არსებით გაუმჯობესებაზე მოახდინოს გავლენა. **27 ივნისს** ხელი მოეწერა საქართველოს ევროკავშირთან „ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ და მოხდა მისი რატიფიკაცია. ევროკავშირთან პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება ასევე გულისხმობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციას, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში.

საქართველოს პარლამენტმა **30 აპრილს** დაამტკიცა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია (2014-2020), რომლის მომზადების ინიციატივა სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2012 წლის ბოლოს დააყენა. მთავრობამ დაამტკიცა 2015-2016 წლების შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

**2 მაისს** საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნვე-

ლყოფაზე ზედამხედველობის განხორციელების ორგანოდ საქართველოს სახალხო დამცველი განისაზღვრა. აღნიშნული კანონის მიღება უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია და ხელს შეუწყობს ქვეყანაში სხვადასხვა უმცირესობების მიმართ არსებული შეუწყნარებლობის აღმოფხვრას, ტოლერანტობის კულტურის ჩამოყალიბებასა და თანასწორობის მიღწევას.

**27 ოქტომბერს** საქართველოს მთავრობამ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის სტრუქტურად სახალხო დამცველის აპარატი დაასახელა. ასევე მიღებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2014-2016 სამთავრობო სამოქმედო გეგმა.

საქართველოს ხელისუფლებამ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს 2011 წლის „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციას (სტამბულის კონვენცია); ასევე, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის სფეროში ევროპის საბჭოს „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ კონვენციას.

საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი და სახელმწიფო უწყებებს კონკრეტული ღონისძიებების გატარება დაავალა ამ მიზნით. რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში შესაბამისმა უწყებებმა 2015 წლის 1 მარტამდე წარმოადგინეს.

2014 წელს სახალხო დამცველის მოქალაქეთა მისაღებად 7 ათასამდე განცხადება მიიჩნია დასაშვებად, რაც ოფისისადმი გაზრდილ მოლოდინებზე, დარღვეული უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ქვეყანაში თავისუფალი გარემოს არსებობაზე მეტყველებს.

საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა და შედარებით მრავალფეროვანი გახდა მედია გარემო. ხელისუფლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია მედია საშუალებების სარედაქციო პოლიტიკასა და ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას; 2014 წლის განმავლობაში გამართული აქციების უმეტესობა ექსცესების გარეშე ჩატარდა, თუმცა, იყო გამონაკლისებიც, სადაც სახელმწიფომ ვერ შეძლო მშვიდობიანი აქციის მონაწილეებისთვის კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების უფლების უზრუნველყოფა ან/და მოხდა შეკრების თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა.

ლუდვა.

ძალაში შევიდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომელიც მეტად შეესაბამება აღნიშნულ სფეროებში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს. მიღწევად უნდა ჩაითვალოს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის მიერ კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში სოციალურ/ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის განეული სამუშაოები. თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის დასაქმება, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება, უსაფრთხოება და გადაადგილების თავისუფლება.

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა ძალაში დატოვა მოწმეთა დაკითხვის დროებითი წესი, მაშინ როდესაც, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედების ერთ-ერთ მთავარ დადებით მხარედ სწორედ, მოწმეთა მხოლოდ სასამართლოში დაკითხვა ითვლებოდა.

საზოგადოების ლეგიტიმური მოლოდინის მიუხედავად, ამ დრომდე არ შექმნილა სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც დაინტერესებულ პირებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობას მისცემს.

დღემდე პრობლემურია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან, ისევე როგორც სასჯელალსრულების სისტემაში ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე ჩატარებული გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკითხი. ამ კუთხით მნიშვნელოვანია გადაიხედოს არსებული კანონმდებლობა და შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც მსგავსი შემთხვევების მიუკერძოებელ გამოძიებას უზრუნველყოფს.

საზოგადოებისთვის კვლავ უცნობია რამდენიმე პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებები და გამოძიების შედეგები. 2014 წელს სასჯელალსრულების დაწესებულებებში გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ 28 შეადგინდა, საიდანაც 7-მა სიცოცხლე სავარაუდოდ სუიციდით დაასრულა.

მნიშვნელოვანია პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების ხასიათისა და წარმომავლობის სათანადო დოკუმენტირება და შესაბამისი რეაგირება, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის

დროული ჩატარება, სათვალთვალო კამერებიდან ჩანანერების ამოღება და სხვა მტკიცებულებების მოპოვება. შესაბამისად, აუცილებელია პრევენციის ეროვნულ მექანიზმს ჰქონდეს დახურულ დანესებულებებში ფოტო გადაღების უფლება და წვდომა ვიდეოკამერების ჩანანერებზე. რიგ დანესებულებებში პრობლემად რჩება არასათანადო პირობები. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა №7 დანესებულებაში და აუცილებელია მისი გაუქმება.

დღემდე უცნობია გასული წლების გახმაურებული საქმეების გამოძიების შედეგები. გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისა თუ ფართო საზოგადოებისათვის.

შემასწავლებელია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მასშტაბები. დაბალია ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობა. ნიშანდობლივია ქალთა ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების მაღალი მაჩვენებლები.

გამონვევად რჩება ჰომოფობიური დამოკიდებულება ლგბტ პირთა მიმართ და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების დროული და ეფექტური გამოძიება.

ვითარება კვლავაც საგანგაშოა ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობის კუთხით. მონიტორინგმა გამოავლინა ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე და ხშირი სიკვდილიანობა; მიუწვდომელი სახელმწიფო ჯანდაცვის მომსახურება; ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება. ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს განათლების დაბალი ხარისხი.

პრობლემად რჩება ფსიქიკური დახმარების თავშესაფრების და მედიკამენტოზური მკურნალობის ხელმისაწვდომობა, ინკლუზიური განათლების სისტემა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება, ფიზიკური გარემოსადმი ხელმისაწვდომობა.

პრობლემას წარმოადგენს რელიგიის თავისუფლებით სრულყოფილად სარგებლობა, რელიგიური ნაგებობების მშენებლობის ნებართვის მიღება, სადაო რელიგიურ ნაგებობათა კუთვნილება, საჯარო სასკოლო განათლების სივრცეში რელიგიური დისკრიმინაციისა და ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნათა იმპლემენტაცია. ასევე პრობლემური იყო რელიგიურ ნიადაგზე

მომხდარი შესაძლო დანაშაულებების ეფექტური გამოძიების საკითხი.

პრობლემას წარმოადგენს სასკოლო განათლების ფარგლებში მშობლიური ენის შესწავლის საკითხი. დაბალია ეროვნული უმცირესობების მონაწილეობისა და ჩართულობის მაჩვენებელი გადანყვეტილების მიღების პროცესში და კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

კვლავ ხშირია საჯარო სამსახურებიდან უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევები. მათ შორის გამოირჩეოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული მოხელეების მასიური გათავისუფლება.

სამწუხაროდ, სახელმწიფო დონეზე არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები შრომის უფლებების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოს - შრომის ინსპექციის შესაქმნელად.

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში განსაკუთრებით მძიმეა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. აუცილებელია მთის კანონის მომზადებაზე დაჩქარებული რეჟიმში მუშაობა.

ანგარიში ასევე მიმოიხილავს დევნილთა, ეკომიგრანტთა, უსახლკაროთა, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა და უცხოელთა, ასევე 1944 წელს რეპრესირებულ რეპატრიანტთა უფლებრივ მდგომარეობას, მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს. ცალკე თავი ეძღვნება საქართველოში ხანდაზმულთა უფლებრივ მდგომარეობას.

**სრული სახით ანგარიშის გაცნობისთვის მიყვით ბმულს.**

**3. სახალხო დამსჯელის რეკომენდასიები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანოებს**

**3.1. რეკომენდასია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს**

**18 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოქალაქეების საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით.

ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მოქალაქეებმა დ.ი. და მ.ს.—მ 2005 წლის 20 ივნისს დაირეგისტრირეს საკუთრების უფლება, რომელიც მოგვიანებით გადაიფარა სააქციო საზოგადოება „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთით. მას შემდეგ, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლო პროცესები, მიწის ნაკვეთზე მფლობელობის უფლების განსაზღვრის მიზნით.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა გადანყვეტილების მიღებისას არ შეასრულა კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება, კერძოდ: სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციამდე მას უნდა გამოეკვლია, ხომ არ მოიცავდა აღნიშნული მიწის ნაკვეთი სხვა პირის საკუთრებაში რეგისტრირებულ ქონებას, შეედარებინა სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია საარქივო ცნობებთან, ქალაქში შესრულებულ საკადასტრო მონაცემებთან, სააღრიცხვო მასალებთან და მასთან დაცულ სხვა დოკუმენტებთან. დაედგინა მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მდებარე მიწის ნაკვეთების კოდები, მესაკუთრეები, გეოგრაფიული მდებარეობა, რათა არ დაემთხვა ერთი ნაკვეთის მიმართ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერის არსებობა.

ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული გადანყვეტილებები ეწინააღმდეგება კანონს და მიღებული და გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, რაც თავის მხრივ არღვევს მოქალაქეების კანონისმიერ უფლებებს.

**3.2. რეკომენდაცია ონის მუზეუმის ახალი შენობით უზრუნველყოფის შესახებ**

**24 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს განახორციელოს სათანადო ღონისძიებები ონის მხარეთმცოდნეობის (ისტორიული) მუზეუმის ახალი შენობით უზრუნველსაყოფად, რათა არ იქნას უგულებელყოფილი კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემის პრინციპი, რომელიც თავის თავში მოიცავს მუზეუმისთვის მატერიალურ/ტექნიკურ მხარდაჭერას სათანადო ინფრასტრუქტურით და ასევე, თითოეული მოქალაქის კულტურული ფასეულობებით სარგებლობის უფლებას.



ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სავალდებულო მდგომარეობაშია

სახალხო დამცველმა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის მხარეში ვიზიტისას, მოინახულა ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შეხვდა მუზეუმის თანამშრომლებს და ადგილზე გაეცნო არსებულ ვითარებას. მუზეუმის შენობა რთულ მდგომარეობაშია და დაცულ ექსპონატებს შესაძლოა დაზიანების და განადგურების საფრთხე შეექმნას.

ვიზუალური დაკვირვებითაც ჩანს, რომ შენობა ავარიულია, დაზარულია კედლები, დაზიანებულია ჭერი და იატაკი. არ არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო, ცენტრალური გათბობის, გამწოვი ვენტილაციის ან ჰაერის კონდიციონერისა და დაცვის სისტემა. შეუძლებელია შენობის სათანადო წესით დასუფთავება, რაც საფრთხეს უქმნის სამუზეუმო ექსპონატებს.

**4. სახალხო დამცველის წინადადება სახალხო დამცველის უფლებისა და აღბილობის თვითმმართველობის ორგანოებს**

**4.1. სახალხო დამცველის წინადადება საქართველოს მთავარ პროკურორს**

**4 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველმა სასჯელალსრულების N8 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის ო.გ.—ს მიმართ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

მსჯავრდებულის განმარტებით, სასჯელალსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომლებმა 2015 წლის 18 თებერვალს მას

ფიზიკური, სიტყვიერი და მორალური შეურაცხყოფა მიაყენეს. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მსჯავრდებულის მონახულებისას, ო.გ.—ს სხეულზე დაზიანების კვალი აღენიშნებოდა.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პროკურატურამ დაუყოვნებლივ უნდა დაინყოს და აწარმოოს გამოძიება მსჯავრდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე; დროულად ჩატარდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა სხეულზე არსებული დაზიანებების ხარისხის, ხასიათის, ხანდაზმულობის, წარმოშობისა და განვითარების მექანიზმის დასადგენად; და ასევე, დროულად მოხდეს მითითებული ფაქტის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერების ამოღება.

#### 4.2. წინადადება მთავარ პროკურორს სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით

**6 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს დაინყოს გამოძიება მოქალაქის მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულმა დ.ფ-მ სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბარში განაცხადა, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს დანიშნულების რაზმის და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს, წააქციეს, ხელბორკილები დაადეს და სასტიკად სცემეს. შემდეგ, წალენჯიხის რაიონული სამმართველოს პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, სადაც არ მისცეს ოჯახის წევრებთან დარეკვის საშუალება და აიძულებდნენ გაცნობის გარეშე მონერა ხელი დოკუმენტებზე. დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმში მითითებული იყო, რომ მას ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა. ამ ფაქტზე დაკავებულმა, მისი თქმით, კიდევ ერთხელ გამოხატა პროტესტი, რის გამოც, ცემეს და რამდენიმე საათის განმავლობაში იატაკზე დაგდებული დატოვეს. დ.ფ.-ს სხეულზე არსებული დაზიანებები სამედიცინო დოკუმენტებითაც დასტურდებოდა, რის საფუძველზეც სახალხო დამცველმა გამოძიების დაწყების მოთხოვნით პროკურატურას მიმართა.

#### 4.3. წინადადება მთავარ პროკურორს დაკავებულის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით

**6 მარტი** საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს დაინყოს გამოძიება მოქალაქე ბ.რ-ს მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულების ბრალდებულმა ბ.რ-მ სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბარში განაცხადა, რომ 2014 წლის 20 ნოემბერს ბაღდათის რაიონის ერთ—ერთ სოფელში მეგობართან ყოფნისას შსს-ს ბაღდათის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს. ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და ტყეში წაიყვანეს, სადაც, როგორც ბ.რ აცხადებს, პოლიციელები რამდენიმე ქურდობის ფაქტის აღიარების მიზნით, დაახლოებით 6 საათის განმავლობაში მასზე ფიზიკურ ზეწოლას ახორციელებდნენ. მოგვიანებით ის ბაღდათის რაიონულ სამმართველოში გადაიყვანეს დაკითხვაზე, რა დროსაც გამოძიებლები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

ბაღდათის დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული დოკუმენტების მიხედვით, ბ.რ—ს განთავსების მომენტისთვის გარკვეული დაზიანებები აღენიშნებოდა, რომელიც მისი განცხადებით, ტყეში, ბაღდათის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ცემის შედეგად მიიღო. დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანებები დაფიქსირებულია ასევე, ექიმის მიერ ჩატარებული სამედიცინო შემოწმების შესახებ ცნობაში და ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო დოკუმენტებშიც.

#### 4.4. წინადადება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს ბრძანების პროექტთან დაკავშირებით

**20 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფარდებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობისა და უფლებამოსილების შესახებ

დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბრძანების პროექტთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველი ცალსახად წინააღმდეგმულ ნაბიჯად აფასებს მსჯავრდებულთა რისკების შეფასების და პერიოდული გადაფასების სისტემის შემოღებას. ამასთან, მისასალმებელია, საშიშროების რისკის სახის განსაზღვრის შესახებ მულტიდისციპლინური გუნდის ან/და მსჯავრდებულის გადაყვანის შესახებ დეპარტამენტის თავმჯდომარის გადანყვეტილებების, გასაჩივრების უფლების ბრძანებით განმტკიცება.

მიუხედავად აღნიშნული პროგრესისა, პროექტის რიგი ნორმები ბუნდოვანი და სამართლებრივი ხარვეზის მატარებელია. ამასთან, წარმოდგენილი ბრძანების პროექტი ითვალისწინებს ისეთ დებულებებს, რომლებიც საშიშროების რისკების შეფასების პროცედურის გაუმართლებელი გაჭიანურების შესაძლებლობას ქმნიან.

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, გამოსწორდეს ბრძანების პროექტის ხარვეზები მისი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და გამოთქვა სამუშაო პროცესში აქტიური მონაწილეობის მზადყოფნა.

## 5. გასული თვის მოვლენები

### 5.1. სახალხო დამცველის შიდააღმავალი დასკვნა უწყებათა მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე

**2 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველმა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე უწყებათა მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების შესახებ შემაჯამებელი დასკვნა წარმოადგინა.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციების ნაწილი შესრულებულად, ან ნაწილობრივ შესრულებულად მიიჩნია, თუმცა, არაერთი კვლავ შეუსრულებელია. დადებითად შეიძლება შეფასდეს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი უწყება საბოლოოდ და სრულყოფილად შესრულებისათვის ჯერ კიდევ აგრძელებს მუშაობას.

### 5.2. განხილვა ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველი დაგმო **4 მარტს** „ვარდების მოედანზე“ მიმდინარე აქციის გაშუქების დროს საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ფოტოკორესპონდენტ ირაკლი გედენიძისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტი, მის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები და მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს გაატარონ შესაბამისი ზომები, ინციდენტში მონაწილე ყველა პირის დადგენისა და მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ადეკვატური სანქციების გატარების მიზნით.

ამასთან, მომავალში მსგავსი ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია სამართალდამცავმა ორგანოებმა, ორგანიზებული აქციის დროს მიიღონ ყველა კანონისმიერი ღონისძიება, მსგავსი ქმედებების პრევენციისა და ზოგადად, ჟურნალისტებისათვის პროფესიული საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს აქციის ორგანიზატორ პოლიტიკურ პარტიებს, განუმარტონ თავიანთ აქტივისტებს მედიის მუშაობის პროფესიული გარანტიები, აღნიშნულის ხელყოფის სამართლებრივი შედეგები და შეძლებისდაგვარად, უზრუნველყონ ძალადობრივი ქმედებების თავიდან აცილება.

### 5.3. საქვეყნო ანგარიში „სათანადო სასხოვერების უფლებაზე“

**9 მარტს** „სათანადო საცხოვრებლის უფლებაზე“ საქართველოს სახალხო დამცველმა სპეციალური ანგარიში წარმოადგინა. ანგარიშში განხილულია საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე არსებული სისტემური და ინდივიდუალური ხასიათის პრობლემები, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატში უსახლკარო პირების საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მიღებული გაცხადებების შესწავლის შედეგად გამოვლინდა.



პრაივანთა სასტუმრო „თხილსი მერიოტში“

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიერ ამ ეტაპზე გადადგმული ნაბიჯები არ არის საკმარისი ქვეყანაში უსახლკარობის დასაძლევად და საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მის შემდგომ იმპლემენტაციაზე აქტიური მუშაობა. პირველ რიგში უნდა დაზუსტდეს უსახლკარო პირთა სამართლებრივი სტატუსი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე, ზედმინვენით გაიწეროს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებები და მათი მოქმედების ფარგლები, განისაზღვროს კოორდინაციის მექანიზმები, პროცედურები და ვადები. უსახლკარო პირების მონაცემთა ბაზების წარმოებასთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს აღნიშნული ვალდებულების მიზნობრიობა და ღონისძიებათა პაკეტი, რომელიც ხელისუფლების ორგანოებმა მათი ფორმირების შემდეგ უნდა განახორციელონ.

აუცილებელია შემუშავდეს სამოქმედო გეგმა და საბინაო სტრატეგია, სადაც განერილი იქნება კონკრეტული ღონისძიებები, სათანადო რესურსები, პასუხისმგებელი ორგანოები და ვადები, რომლებიც უზრუნველყოფს დასახული მიზნების განხორციელებას.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ადამიანის უფლებების ატაშე ევა პასტრანა, თბილისის მერის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, თბილისის რაიონული საკრებულოების ხელმძღვანელი პირები, შრომის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი. ასევე, თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

დისკუსიაზე განსაკუთრებული სიმწვავეთ გამოიკვეთა სათანადო საკანონმდებლო რეგულაციების მიღების, საცხოვრებლის არმქონე პირთა განსაზღვრისათვის საჭირო კრიტერიუმების შემუშავებისა და სრულყოფილი მონაცემთა ბაზების შექმნის აუცილებლობა.

#### 5.4. შხვედრა ევროპის საბჭოს დელეგაციის წევრებთან

**11 მარტს** სახალხო დამცველის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე და სახალხო დამცველის მრჩეველი კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებში მედეა ტურაშვილი ევროპის საბჭოს პოლიტიკური დირექტორის მოადგილეს დანიილ ხოშაბოს და ევროპის საბჭოს პოლიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის პოლიტიკურ მრჩეველს მარსელ კაპის შეხვდნენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს ოკუპირებულ და გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებებსა და იმ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც მათ აწუხებთ. სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ ხაზი გაუსვა კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის მნიშვნელობას.

#### 5.5. სახალხო დამცველის შხვედრაჰი ქანავაში

**11—13 მარტს** სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე, პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნიკა კვარაცხელია და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ანი თამაზაშვილი ოფიციალური ვიზიტით შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში იმყოფებოდნენ, სადაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის შეხვედრებში.

**11 მარტს** სახალხო დამცველი **ორგანიზაცია „წამების პრევენციის ასოციაციის“ წარმომადგენლებს შეხვდა** და ინფორმაცია მიანოდა დახურულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტური მუშაობის მიზნით განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადებაზე, რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის ნევრებისთვის დახურულ დაწესებულებებში ფოტო-ვიდეო გადაღების უფლების მინიჭებას გულისხმობს. სახალხო დამცველმა წამების პრევენციის ასოციაციის ნევრებთან ერთად განიხილა ის საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც არსებობს დახურულ დაწესებულებებში ფოტო-ვიდეო გადაღებასთან დაკავშირებით.

**11 მარტს** უჩა ნანუაშვილი **ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის გენერალური ასამბლეის შეხვედრას დაესწრო** და ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვას აუცილებლობის შესახებ მიღებულ საგანგებო განცხადებას.

სახალხო დამცველმა სამუშაო შეხვედრები გამართა ასევე ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის ფინანსურ და საკოორდინაციო კომიტეტებში, რომლის წევრიც საქართველოს ომბუდსმენი უკვე ორი წელია ოფიციალურად არის.



**12 მარტს** სახალხო დამცველი ჟენევაში **გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოადგილეს ფლავია პანსიერის შეხვდა** და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მართლმსაჯულების და გენდერული თანასწორობის მიმართულელებით სახალხო დამცველის აპარატში ბოლო პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა. ყურადღება გაამახვილა დახურულ დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე, კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ პირთა უფლებებზე და მართლმსაჯულების რეფორმის მიმდინარეობაზე.



**12—13 მარტს** სახალხო დამცველმა და მისი დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს **ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის 28-ე ყოველწლიურ შეხვედრაში**, სადაც სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებზე იმსჯელეს.



**13 მარტს** სახალხო დამცველი **გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა**. განიხილეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ახლადშექმნილი საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის პრინციპები და სპეციალური პრევენციული ჯგუფის ექსპერტთა განახლებული შემად-

გენლობა. ასევე, დახურულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა და მონიტორინგის შედეგების შესახებ სპეციალური ანგარიშები.

გაეროს წამების ქვეკომიტეტის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს ომბუდსმენის მხრიდან საკანონმდებლო ცვლილების მოთხოვნა, დახურულ დაწესებულებებში ფოტო გადაღებას და სათვალთვალო კამერების ჩანაწერებზე წვდომასთან დაკავშირებით.

გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წარმომადგენლებმა პრევენციის ეროვნულ მექანიზმსა და ომბუდსმენის აპარატს სრული მხარდაჭერა აღუთქვეს და საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმატებული გამოცდილების სხვა ქვეყნებში გაზიარების ინიციატივით გამოვიდნენ.

**13 მარტს** უჩა ნანუაშვილი შეხვდა **შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის რეგიონალურ ხელმძღვანელს**, სადაც ომბუდსმენის აპარატში თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნის საკითხი და მუშაობის სტრატეგია განიხილეს. შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის რეგიონალურმა ხელმძღვანელმა სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა და ერთობლივი ღონისძიებებიც დაიგეგმა.

**13 მარტს** სახალხო დამცველი **გაეროს იძულებით გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის კომიტეტის მდივანს შეხვდა**, სადაც განიხილეს იძულებითი გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის რატიფიცირების საკითხი, რაც ასევე ასახული იყო სახალხო დამცველის 2013 და 2014 წლების საპარლამენტო ანგარიშებში. კომიტეტის მდივანმა ქართულ მხარესთან თანამშრომლობის სრული მზადყოფნა გამოთქვა, რომელიც სხვა ქვეყნების პრაქტიკის გაზიარებას და საგანმანათლებლო აქტივობას გულისხმობს.

**5.6. შეხვედრა გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სპეციალური მომხსენებლის დელეგაციასთან**

**13 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი, გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სპეციალური მომხსენებლის დელეგაციის წარმომადგენლები ეწვივნენ. საქართველოს სახალხო დამცველის პირველ მოადგილესთან

პაატა ბელთაძესთან და საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო მდივანთან ეკატერინე ფოფხაძესთან გამართული შეხვედრის ძირითად თემას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა და მისი მანდატის საკითხები წარმოადგენდა. ასევე, განიხილეს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული ვითარება.

შეხვედრაზე ისაუბრეს დახურულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ და იმ ცვლილებებზე რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტური მუშაობის მიზნით განხორციელდა; პრევენციის ეროვნული მექანიზმის განახლებულ ექსპერტთა ჯგუფზე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მრჩეველთა საბჭოს მუშაობის პრინციპებზე და მონიტორინგის შედეგებზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადებაზე, რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებისთვის დახურულ დაწესებულებებში ფოტო გადაღების უფლების მინიჭებას გულისხმობს, ასევე, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის შესახებ სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე.

**5.7. სპეციალური ანგარიში საქართველოში მცხოვრები ოსური თემის მიგრაციასა და მოქალაქეობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე**

**16 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველმა წარმოადგინა სპეციალური ანგარიში „საქართველოში მცხოვრები ოსური თემის მიგრაცია და მოქალაქეობასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემები“. ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით მომზადებული ანგარიში დაფუძნებულია 2014 წელს ჩატარებულ კვლევაზე, რომლის მიზანი იყო 1991—1993 წლებში შეიარაღებული კონფლიქტებისა და ეთნიკური დაძაბულობის დროს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესწავლა და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავება.



პრეზენტაცია სასტუმრო „ტიფლის პალასში“

1990-იან წლებში, მძიმე პოლიტიკური და სოციალურ—ეკონომიკური პრობლემების ფონზე, ეთნიკურად ოსების დიდმა ნაწილმა საქართველო დატოვა და სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეს ადამიანები ორმაგი მოქალაქეობით სარგებლობდნენ, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია და იწვევს საქართველოს მოქალაქეობის ავტომატურ შეწყვეტას.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პრობლემის გადასაჭრელად ხელისუფლებამ უნდა იმსჯელოს სახელმწიფოს ერთიანი სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებაზე და მიიღოს ისეთი ზომები, რომელიც ადამიანის უფლებებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვას ემსახურება.

**5.8. ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობის საკითხები სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში**

**17 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა „ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობის საკითხები სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში“. შეხვედრაზე ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშის სამუშაო ვერსია განიხილეს.

საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ საქართველოში გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების მიმართულებით არსებულ ძირითად გამოწვევებზე, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრობლემაზე, რომლის გამოვლენა ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში, ქალთა მკვლევლობების მასშტაბებსა და სიმწვავეზე, ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხზე. ისაუბრა გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები დროებითი სპეციალური ზომების შესამუშავებლად. საქართველოში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს შრომით ურთიერთობებში არსებული დისკრიმინაციული მიდგომები და სხვა.

შეხვედრის შეჯამებისას ერთობლივი მუშაობის პოზიტიურ შედეგებსა და გამოთქვა სრული მზადყოფნა მომავალშიც გაგრძელდეს საკონსულტა-

ციო ტიპის შეხვედრები ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხების ეფექტური ადვოკატირებისათვის.

**5.9. განსხაღვა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს, რომლის მთავარი მიზანია საზოგადოების ყველა ფენის, მათ შორის დაუნის სინდრომის მქონე პირთა ოჯახების ინფორმირებულობის გაზრდა; ასევე, საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა დაუნის სინდრომის მქონე პირთა მიმართ, არსებული სტიგმის დაძლევა და ამ კუთხით ცნობიერების ამაღლება.**

21 მარტს მსოფლიო დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს, რომლის მთავარი მიზანია საზოგადოების ყველა ფენის, მათ შორის დაუნის სინდრომის მქონე პირთა ოჯახების ინფორმირებულობის გაზრდა; ასევე, საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა დაუნის სინდრომის მქონე პირთა მიმართ, არსებული სტიგმის დაძლევა და ამ კუთხით ცნობიერების ამაღლება.

ჩვენს ქვეყანაში დაუნის სინდრომის მქონე პირებს ჯერ კიდევ არ ეძლევათ ცხოვრების ყველა სფეროში სრულყოფილი და თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა. სახელმწიფოს არ გააჩნია საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებული პოლიტიკა და მიდგომები. აღნიშნულ პირებს ყოველდღიურად ექმნებათ ბარიერები საკუთარი უფლებების რეალიზების პროცესში.



საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს სახელმწიფოს, დაუნის სინდრომის მქონე პირთა ოჯახების, მათი უფლებების დამცველი ორგანიზაციების, სამოქალაქო სუბიექტების ფართო ჩართულობით გააძლიეროს მცდელობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, დაუნის სინდრომის მქონე პირების უფლებრივი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინკლუზიის მიმართულებით.

**5.10. განსხაღვა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით**

საქართველოს სახალხო დამცველმა წარმატება უსურვა უზენაესი სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს ნინო გვენეტაძეს მომავალ, ძალზე საპასუხისმგებლო საქმიანობაში და იმედი გამოთქვა, რომ იგი თითოეულ შემთხვევაში იხელმძღვანელებს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მაღალი სტანდარტით, გამჭირვალედ მიიღებს დასაბუთებულ გადანყვეტილებებს და იმოქმედებს ადამიანის უფლებების პრიმატის გათვალისწინებით.

„მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა ჩანდეს კიდევ, რომ ის აღსრულდა. სამართლიანი სასამართლოს უფლება ერთ—ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა. სწორედ ამ უფლების მეშვეობით რეალიზდება დანარჩენი უფლებები. სასამართლო სისტემა უნდა გახდეს ის ადგილი, სადაც არათუ არავითარი საფრთხე არ დაემუქრება არც ერთი ადამიანის არც ერთ უფლებას, არამედ მოხდება მათი ეფექტიანი დაცვა ყოველგვარი ხელყოფისაგან“ — განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა.

**5.11. საჯარო დებატები ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საკითხებზე**

24 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ მხარდაჭერით გამართა საჯარო დებატები — „ევროსაბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციებზე: განხორციელება და მონიტორინგი“.

საჯარო დებატების მიზანს წარმოადგენდა დინტერესებული მხარეების მონაწილეობით კონვენციის განხორციელებისა და მონიტორინგის სამომავლო გზების დასახვა. შეხვედრას მოდერაცია გაუწია გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა თამარ საბედამიძემ.



საჯარო დებატები სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“

საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელმა ევა პასტრანამ დისკუსიის მნიშვნელობასა და საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აპარატის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს და აპარატი მზადაა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს როგორც კონვენციის განხორციელების ისე მისი შემდგომი შესრულების მონიტორინგის მიმართულებით.

ევროსაბჭოს საქართველოს ოფისის წარმომადგენელმა თინათინ უფლისაშვილმა ისაუბრა კონვენციის ძირითად მიზნებსა და მიღების ისტორიაზე. აგრეთვე აღინიშნა, რომ იგეგმება პასუხისმგებელ ექსპერტთა ჯგუფის ე.წ. გრევიოს შექმნა, რომლისთვისაც მონაწილე ქვეყნების მიერ კანდიდატები უკვე წარდგენილია.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის ალექსანდრე ბარამიძის ინფორმაციით, კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საქართველოს პარლამენტს საგაზაფხულო სესიაზე წარედგინება.

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ ხაზი გაუსვა ქორწინების იძულების ინკრინაციის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვის მიზნით მოძალადის განრიდების მიზნით შემოღებულ ახალ რეგულაციებს და განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს. გამოთქვა სრული მზაობა საქართველოს პარლამენტში კონვენციის რატიფიცირების ლობირებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობის კუთხით.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, თუ სამომავლო გეგმები პრემიერ-მინისტრის თანაშემწემ ადამიანის უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებში სოფო ჯაფარიძემ წარმოადგინა. კერძოდ, 2014 წლის ნოემბერში დამტკიცდა პირის, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საუნწყებათაშორისო საბჭო, რომლის შემადგენლობაში წარმოდგენილნი არიან მინისტრების მოადგილეები, სპეციალური მოწვევითა და სათათბირო ხმის უფლებით — საქართველოს სახალხო დამცველი,

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე სხილაძემ კონვენციის მონიტორინგის მექანიზმებსა და სახალხო დამცველის ხედვაზე ისაუბრა. მან ასევე აღნიშნა, რომ სახალხო დამცველის აპარატი, როგორც დამოუკიდებელი ადამიანის უფლებადაცვითი ორგანო, მზადყოფნას გამოთქვამს, განახორციელოს მონიტორინგისა და შეფასების ფუნქცია.

### 5.12. სახალხო დამცველის ოფისიალური ვიზიტი ჩეხეთის რესპუბლიკაში

**25, 26 და 27 მარტს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი სახალხო დამცველის მოადგილეს ნათია კაციტაძესთან და სახალხო დამცველის საპარლამენტო მდივანთან, ეკატერინე ფოფხაძესთან ერთად ოფიციალური ვიზიტით ჩეხეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა.**

**25 მარტს უჩა ნანუაშვილი ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჯაკობ კულანეკს შეხვდა.** შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში არსებული მდგომარეობა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით. ისაუბრეს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობისა და ბოლო პერიოდში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

**26—27 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ქალაქ ბრნოში გამართულ ჩეხეთის ომბუდსმენის საქმიანობის მე-15 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.**



კონფერენცია ბრნოში

საქართველოს სახალხო დამცველმა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას მიმოიხილა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების მდგომარეობა საქართველოში და აღნიშნა, რომ გასულ წელთან შედარებით 2014 წლის მონაცემებით სახალხო დამცველისადმი მიმართვიანობა გაორმაგდა, რაც მიუთითებს სწორედ სახალხო დამცველის როლის მნიშვნელობაზე.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ ჩეხეთის ომბუდსმენი ანა საბატოვა, უნგრეთის ომბუდსმენი ლასლო ჟეკელი, სლოვაკეთის ომბუდსმენი იანა დუბოვკოვა, პოლონეთის ომბუდსმენი ირენა ლიპოვიცი და ავსტრიის ომბუდსმენი გერტრუდ ბრინეკი, ასევე ნიდერლანდების ომბუდსმენის მოადგილე. მოხსენებები წარმოადგინეს დეპუტატთა პალატის ვიცე პრეზიდენტმა იან ბარტოშეკიმ, ადამიანის უფლებების, თანასწორი შესაძლებლობის და კანონმდებლობის მინისტრმა ჟირი დიენსტბიერემ, პარლამენტის პეტიციების კომიტეტის თავმჯდომარემ ჟუჟკა ბებაროვა რუჯბროვამ, სოციალური უსაფრთხოების ადმინისტრაციის გენერალურმა დირექტორმა ვილემ კაჰოუნიმ და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ ტომაშ ლანგაშეკიმ.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართა სამი პარალელური სესია, სადაც ყურადღება გამახვილდა ომბუდსმენების სამუშაო მეთოდოლოგიაზე, სახალხო დამცველთა მიერ კანონმდებლობაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობაზე, მედიასთან თანამშრომლობასა და გამჭვირვალობაზე, ადამიანის უფლებათა შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და სახალხო დამცველის ინსტიტუტების ღიაობაზე.

## 6. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის კარიკული საქმიანობა

### 6.1. კონფერენცია „ქალთა როლის გაძლიერება საზოგადოებაში“

**5 მარტს** სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომელმა ანა ლობჟანიძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში „ქალთა როლის გაზრდა საზოგადოებაში“. კონფერენცია ქართველი და ჩეხი სტუდენტებისთვის ევროპის იურისტთა ასოციაციის ორგანიზებით ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა.



კონფერენცია თავისუფალ უნივერსიტეტში

ანა ლობჟანიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე — „ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები“, ისაუბრა ფემინიზმის ისტორიაზე, ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობაზე და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის საქმიანობასა და როლზე ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში.

### 6.2. ევროპის ბავშვთა მოხუცების ქსელის (ENOC) კრიკული

საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრი მონაწილეობას იღებს საერთაშორისო პროექტში „Let’s talk young, let’s talk about violence“, რომლის ორგანიზატორია ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების ქსელი (ENOC).

**8—10 მარტს** პროექტის კოორდინატორი და ცენტრის მთავარი სპეციალისტი თამთა ბაბუნაშვილი, ევროპის 10 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად, დაესწრო ტრენინგ—სემინარს ბრიუსელში, რომელიც ბელგიის ბავშვთა ომბუდსმენის წარმომადგენლებმა ჩაატარეს.

პროექტი გულისხმობს ბავშვების მონაწილეობით 5 წუთიანი ვიდეოკლიპის გადაღებას ძალადობის თემაზე. კლიპი გაერთიანდება სხვა მონაწილე ქვეყნების მიერ წარმოდგენილ ვიდეოებთან და გაკეთდება საერთო დოკუმენტური ფილმი, რომელსაც საბოლოოდ, სექტემბერში ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების გაერთიანებულ შეხვედრაზე წარადგენენ და ევროკავშირის ქვეყნებში გაავრცელებენ.

### 6.3. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროება

**10 მარტს** სახალხო დამცველის მრჩეველი მედეა ტურაშვილი, მონვეული სტუმრის სტატუსით დაესწრო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომას.

შეხვედრაზე კომისიის წევრებმა, კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე იმსჯელეს. მედეა ტურაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო სახალხო დამცველის აპარატის მიერ, გამყოფი ხაზის სოფლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და რეკომენდაციები. კონკრეტულად, მან ისაუბრა მინის რეგისტრაციის პრობლემაზე, უსაფრთხოების საკითხებზე და კონფლიქტით შედეგად დაზარალებული სახლების რეაბილიტაციის თაობაზე.

**6.4. საინფორმაციო შეხვედრები ქალთა მიმართ ძალადობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე**

**10-13 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ორგანიზებით, კახეთისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონების მუნიციპალურ ერთეულებში (საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ახალციხე) ადრეულ ასაკში ქორწინებასა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა.

საინფორმაციო შეხვედრებზე მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლებმა, სოციალურმა მუშაკებმა, გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა, ახალგაზრდებმა და თემით დაინტერესებულმა სხვა პირებმა.

შეხვედრებზე გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ეკატერინე სხილაძემ მონაწილეებს მიანოდა ინფორმაცია ადრეულ ასაკში ქორწინებასა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებულ სამართლებრივ ასპექტებზე, ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაზე ამ მიმართულებებით. დისკუსიის მიმდინარეობისას ისაუბრეს რეგიონში არსებულ პრობლემებზე, მათ გამოწვევ ფაქტორებსა და თანმდევ შედეგებზე.

შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემის, მისი გადაჭრის გზებისა და არსებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დონე ძალიან დაბალია. განსაკუთრებით შემამოფოთებელია ის ფაქტი, რომ თავად სერვისის მიმწოდებლები და ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები ვერ აცნობიერებენ პრობლემის არსს და არ ფლობენ ინფორმაციას მათსავე ვალდებულებებზე.

ღონისძიება ჩატარდა ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ და ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამის“ ტექნიკური მხარდაჭერით.

**6.5. ბაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგი**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი, გაეროს 2006 წლის კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის შემუშავების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის

მიზნით, აგრძელებს ინდივიდუალური შეხვედრების ციკლს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან.

**20 მარტს** შეხვედრა გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენლებთან; შეხვედრის თემა იყო გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის განხორციელება.

**31 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის წარმომადგენლები გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელს ბესარიონ ბოხაშვილს შეხვდნენ და კონვენციის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები მიმოიხილეს.

**6.6. ტრენინგები დისკრიმინაციის საკითხებზე სკოლის მოსწავლეებისათვის**

სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის სპეციალისტებმა ანა კვაჭაძემ და გიორგი კაპანაძემ დისკრიმინაციის აკრძალვის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონისა და სახალხო დამცველის უფლებამოსილების შესახებ **23 მარტს** ტრენინგები ჩაუტარეს რუსთავის მე-18 და ივანე ჯავახიშვილის სახელობის 24-ე საჯარო სკოლების IX, X და XI კლასის მოსწავლეებს.



დისკრიმინაციისა და სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ ჩატარებული ტრენინგების დროს

**27 მარტს** ასევე ტრენინგები ჩაატარეს მარნეულის მე-5 და მე-3 საჯარო სკოლებში IX და X კლასელებთან.

ტრენინგები საქართველოს მასშტაბით 58 სკოლაში ჩატარდება. თეორიული სალექციო კურსის გარდა, ტრენინგი ითვალისწინებს სავარჯიშოებს,

გონებრივ იერიშს (ბრეინსტორმინგს), როლურ გათამაშებებს და კაზუსებს.

**6.7. შეხვედრა მსჯავრდებულების სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხების შესახებ**

**25 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თამარ შვანგირაძე საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის სპეციალური ანგარიშის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ ღონისძიებაში - „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა: გამოწვევები და პერსპექტივები“.

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშში გამოკვეთილია მსჯავრდებულების სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა/გადაწყვეტის პროცესში არსებული როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკაში არსებული ხარვეზები.

**6.8. შეხვედრაჰი პოლონეთში – დისკრიმინაციის საკითხებზე**

**31 მარტი—1 აპრილს** სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მაკა გიოშვილმა, მარიეტა ახვლედიანმა და მარიამ გაიპარაშვილმა შეხვედრები გამართეს პოლონეთის ომბუდსმენის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების - „ჰელსინკის ადამიანის უფლებათა ფონდისა“ და „ანტი-დისკრიმინაციული სამართლის პოლონეთის საზოგადოების“ წარმომადგენლებთან და პოლონეთის პრემიერ მინისტრთან არსებული თანაბარი მოპყრობის სრულუფლებიანი ორგანოს ხელმძღვანელთან მალგორზატა ფუზარასთან.



შეხვედრაჰი პოლონეთში

ისაუბრეს პოლონეთისა და საქართველოს ომბუდსმენების უფლებამოსილებაზე, პოლონეთსა და საქართველოში დისკრიმინაციასთან

დაკავშირებულ პრობლემატიკაზე, არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე, საერთაშორისო თანასწორობის ორგანოებთან თანამშრომლობაზე.

**7. წარმატებული საქმეები**

**7.1. რეკომენდაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს**

**4 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველმა მოქალაქე გ.ბ—ს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების დარღვევის გამო რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 25 სექტემბრის განკარგულების საფუძველზე, ვანში მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში რიცხული ქონება პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად (ერთ ლარად) საკუთრებაში გადაეცა მოქალაქე გ.ბ—ს. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და გ.ბ.—ს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება.

მოგვიანებით გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაშიც და ნასყიდობის ხელშეკრულებაშიც გ.ბ—ს პირადი ნომერი არასწორად იყო მითითებული. შესაბამისად, მოქალაქემ ვერ შეძლო ბიუჯეტში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიმბოლური თანხის გადარიცხვა და ვერ დაირეგისტრირა საკუთრებაში სახელმწიფოს მხრიდან გადაცემული უძრავი ქონება.

2012 წლის 7 ნოემბერს ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესაბამისი ტექნიკური ცვლილებების შეტანის შუამდგომლობით მიმართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს. პროცესი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მხრიდან გაჭიანურდა, რამაც მოქალაქის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებებში გაუმართლებელი ჩარევა გამოიწვია.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შემდგომ, **31 მარტს** საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულების პროექტი — „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“. განკარგულებით მოქალაქე გ.ბ—ს სახელმწიფო საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა.

**7.2. შპს არასრულწლოვნები  
საგანმანათლებლო პროცესში  
ჩაერთნენ**

1. საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენლებმა რაჭის რეგიონში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგისას შეიტყვეს ონის მუნიციპალიტეტის ერთ—ერთ სოფელში მინდობით აღზრდის პროგრამაში მყოფი ორი შპმ არასრულწლოვნის, 15 წლის ლ.მ—სა და 8 წლის ლ.ფ—ს შესახებ. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნები არასოდეს ყოფილან ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.

ბავშვის უფლებების ცენტრის მიმართვის შედეგად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონულმა განყოფილებამ არასრულწლოვნების შეფასებისთვის ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს მიმართა. ბავშვებს მიენიჭათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არასრულწლოვნის სტატუსი და **მარტიდან** ჩაერთნენ საგანმანათლებლო პროცესში, კერძოდ, შინ სწავლების პროგრამაში.

2. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა სვანეთის რეგიონში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის დროს შეიტყვეს შპმ არასრულწლოვნის შესახებ, რომელიც არ იყო ჩართული საგანმანათლებლო პროცესში და ექვემდებარებოდა მულტიდისციპლინური გუნდისა და სოციალური მუშაკის შეფასებას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ბავშვის უფლებების ცენტრმა დაიწყო საქმის შესწავლა და წერილებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მესტიის რაიონულ განყოფილებასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **4 მარტის** წერილის მიხედვით, მულტიდისციპლინურმა გუნდმა ბავშვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არასრულწლოვნის სტატუსი მიანიჭა და მისი საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის რეკომენდაციები გასცა.

**7.3. სოსილური დახმარების პროგრამაში  
ჩართვა**

1. სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის აქტივობის შედეგად, უმძიმეს სოციალურ—ეკონომიურ პირობებში მყოფი ოჯახი, სადაც 5 არასრულწლოვანი ბავშვი ცხოვრობს, **12 მარტს** კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშ-

ვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამაში ჩაერთო, რაც გულისხმობს ოჯახისთვის გადაუდებელ პირველად დახმარებას და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ოჯახის ერთ—ერთი მცირეწლოვანი ბავშვი ისარგებლებს „მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის“ სახელმწიფო ქვეპროგრამის მომსახურებით, ხოლო სხვა არასრულწლოვნები კი ჩაერთვებიან დღის ცენტრის მომსახურებაში.

2. **18 მარტი.** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრისთვის ცნობილი გახდა, რომ ხუთი წლის ტყუპების დედა თბილისის კარდიოლოგიის ინსტიტუტის შენობის ერთ ოთახში, უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.

ცენტრის ძალისხმევით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა—მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტმა ოჯახი ჩაერთო „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამაში.

**7.4. სკოლაშდელ საღმრთო  
დაწესებულებაში ბავშვთა  
უფლებრივი მდგომარეობის  
გაუმჯობესება**

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ თბილისისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობების შესაბამისი ორგანოების მიმართ განხორციელებული მიმართვების შედეგად, სოფელ კულაშისა და თბილისის **N59** საბავშვო ბაგა—ბაღებში კვების ორგანიზაციული წესები და სანიტარულ—ჰიგიენური პირობები გაუმჯობესდა. **მარტის თვეში** შეიცვალა კვების ბლოკის პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მონესრიგდა სანიტარულ—ჰიგიენური პირობები.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ აღნიშნულ დაწესებულებებში ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ განხორციელებული შემომხმების შედეგებმა გამოავლინა, რომ დაწესებულებებში არასათანადო მდგომარეობა ფიქსირდებოდა ჯანსაღის კვებით და სანიტარულ—ჰიგიენური პირობებით სარგებლობის უფლების მხრივ.

**7.5. „დიმდროლის“ მოხმარების ფაქტების  
აღკვეთა**

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრი პერიოდულად ახორციელებს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნვე-



ლყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული დღის ცენტრების, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრებისა და ტრანზიტული ცენტრების მონიტორინგს და სწავლობს ბავშვის უფლებათა დარღვევის სავარაუდო ფაქტს.

მონიტორინგის პროცესში ბავშვის უფლებების ცენტრისთვის ცნობილი გახდა, რომ იძენენ ერთ—ერთ კერძო აფთიაქში ერთი ზრდასრული პირი ყიდულობს დიდი რაოდენობით მედიკამენტ დიმედროლს და შემდგომ სხვა არასრულწლოვნებზე ყიდის.

„დიმედროლის“ რეალიზაციის წესების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა, საქმის შესწავლის თხოვნით, მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს.

**19 მარტის** ინფორმაციით, სააგენტომ განახორციელა საკონტროლო ღონისძიებები და დაფიქსირდა „დიმედროლის“ ურეცეპტოდ რეალიზაციის ფაქტები. შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

## 8. სხვა სიახლეები

### 8.1. სასაპარტლო ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ადმინისტრაციულ საპარტლდამრღვევად სმო

**13 მარტს** ფოთის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი კაკულიამ არ შეასრულა სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნა, რითაც დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. სასამართლომ ირაკლი კაკულიას შეუფარდა ჯარიმა 800 ლარის ოდენობით.

ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი კაკულიამ კანონით დადგენილ ვადაში სახალხო დამცველს არ მიაწოდა ინფორმაცია უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის განხილვის შედეგების თაობაზე. შესაბამისად, 2015 წლის 18 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატში შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც განსახილველად გაეგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოს.

### 8.2. პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლის მიერ გაჟღერებული საქსისტური გამონათქვამების შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველმა შემოთქვა გამოთქვა **14 მარტს** პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელის გოგი წულაიას მიერ მედიასაშუალებებისადმი მიცემული ინტერვიუს დროს ქალების მიმართ შეურაცხმყოფელი, დამაკინებელი და სექსისტური გამონათქვამების გამო, რომელიც საინფორმაციო სააგენტოს მეშვეობით გავრცელდა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებლის, ქალების მიერ ყოველდღიური ჩაგვრისა და ცხოვრების სხვადასხვა სფეროში უთანასწორო მოპყრობის მიზეზი საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული, სექსისტური შეხედულებებია და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამკვიდრებული მიდგომების ცვლილებას, რაშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი პოლიტიკური აქტივობის განმახორციელებელ პირებს ეკუთვნით, რომელთაც ხელი მიუწვდებათ მასობრივი ინფორმაციის გამავრცელებელ საშუალებებთან.

სახალხო დამცველმა მოუწოდა პარტიის ხელმძღვანელს გაატაროს ქმედითი ღონისძიებები პოლიტიკური პარტიის ყველა წარმომადგენლის ინფორმირებისათვის ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით.

### 8.3. განსხლდება ზუბლიდში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა შემოთქვა გამოთქვა **15 მარტს** ზუგდიდში მომხდარ სამწუხარო ინციდენტთან დაკავშირებით.

კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა, პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის წინ აქცია გამართეს, სადაც 21 მარტს დაგეგმილ აქციას აპროტესტებდნენ. აქციის მონაწილეთა ნაწილი ძალის გამოყენებით შეიჭრა ორგანიზაცია „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის“ ოფისში; ასევე, ადგილი ჰქონდა ხელკეტებისა და ქვების გამოყენებას. დაშავდა 10—მდე ადამიანი, დაზიანდა შენობის შესასვლელი კარები, ჩაიმსხვრა ფანჯრის მინები.

სახალხო დამცველის აზრით, გამოძიებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რამ შეუშალა ხელი სამართლდამცავთა მობილიზებას დაპირისპირებულ მხარეებს შორის ფიზიკური ძალადობის აღსაკვეთად. შეკრების/მანიფესტაციის უფლების ეფექტიურად რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორება, რათა მსგავს ძალადობას არ ჰქონდეს ადგილი.

ასევე, სახალხო დამცველმა მოუწოდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებს, გაიაზრონ საკუთარი პასუხისმგებლობა და ნუ ჩაებმებიან ისეთ ქმედებებში, რომლებიც მათ მიუყვებოდნენ საქმიანობას დააყენებს ეჭვის ქვეშ.

**8.4. სახალხო დამცველი გოგუს არასრულწლოვანთათვის ძალადობის კადრების ჩვენებას**

**15 მარტს**, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყველა თაობა საქართველოსთვის“ ინიციატივით, სამეგრელოს რეგიონის რამდენიმე ქალაქის საჯარო სკოლების პედაგოგებმა და დირექტორებმა, 12-დან 17 წლამდე მოზარდები ორგანიზებულად წაიყვანეს საქალაქო თეატრებში, სადაც წინა ხელისუფლების 9-წლიან მმართველობაზე ესაუბრნენ და ციხეში გადაღებული ცნობილი სკანდალური კადრები აჩვენეს.

საქართველოს სახალხო დამცველმა დაგმო სასტიკი და მოზარდის ნორჩი ფსიქიკისათვის საფრთხის შემცველი კადრების ჩვენებას არასრულწლოვანთათვის. ამასთან, მოუწოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კანონის ფარგლებში გაატაროს ყველა საჭირო ზომა, რათა სამომავლოდ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანთა უფლებადარღვევის მსგავსი შემთხვევები.

**8.5. სახალხო დამცველის შეხვედრა დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორთან**

**24 მარტს** სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილი იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორ ჯონი კვინიკაძეს შეხვდა. შეხვედრაზე „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის“, მასში ჩართული ბენეფიციარებისთვის განკუთვნილი სერვისებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრეს. ცენტრის დირექტორის ცნობით, 2013-2014 წლებში „ყოფილ პატი-

მართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამას“ 1342 ყოფილმა პატიმარმა მიმართა; მათგან 917 ბენეფიციარი პროგრამაში აქტიურად არის ჩართული.

სახალხო დამცველი ყოფილი პატიმრებისთვის განკუთვნილი კონკრეტული სერვისების სპეციფიკით, არსებული პრობლემებითა და სტატისტიკით დაინტერესდა. მხარეები აქტიურ სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

**8.6. სახალხო დამცველის აპარატმა 21 მარტს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაზღვეულ აქციას მონიტორინგი გაუწია**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მონიტორინგი გაუწია **21 მარტს** თბილისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ აქციას. სახალხო დამცველის წარმომადგენლებისგან შემდგარი მობილური ჯგუფები ღონისძიების მიმდინარეობას აკვირდებოდნენ, რათა სავარაუდო ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში სათანადოდ შეესწავლათ საკითხი და შესაბამისი რეაგირება მოეხდინათ.

სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, არა მხოლოდ არ ჩაერიოს შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების რეალიზაციაში, არამედ, ხელი შეუწყოს მის სრულფასოვან განხორციელებას. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მშვიდობიანი შეკრების მონაწილეები ნებისმიერი პიროვნებისგან ან ჯგუფისგან, რომელიც შეეცდება აქციისთვის ხელის შეშლას.

საბედნიეროდ, აქციამ ექსცესების გარეშე ჩაიარა.

**9. ღირსშესანიშნავი თარიღები**

**9.1. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება დედის დღის აღნიშვნის დაკავშირებით**

„სრულიად საქართველოს ვულოცავ დედის დღეს, რომელიც საქართველოში 1991 წლიდან აღინიშნება, თუმცა დედის დღის მსოფლიო ისტორიას უფრო ადრეული საწყისები გააჩნია.

საქართველოში უმთავრესად ქალები იღებენ ბავშვზე ზრუნვისა და განვითარების პასუხისმგებლობას. სწორედ ამიტომ, დედები განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ, როგორც სახელმწიფოს, ასევე ყველა ჩვენთაგანის მხრიდან, რათა შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, წარმატებული კარიერული წინსვლა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა, რაც საბოლოოდ

ისევ მათი, ოჯახების და სახელმწიფოს კეთილდღეობაზე აისახება დადებითად.

მნიშვნელოვანია ყველა ჩვენგანმა გავითავისოთ ის მოვალეობა, რასაც მომავალ თაობებზე ზრუნვა წარმოადგენს. ეს თანაბარი პასუხისმგებლობა უნდა იყოს როგორც ორივე მშობლის ასევე სახელმწიფოსათვის. სწორედ ამგვარი მიდგომის შედეგად იქნება შესაძლებელი დედებისათვის **3 მარტის** გულწრფელად მილოცვა, როცა პასუხისმგებლობები თანაბრად იქნება განაწილებული და ყველა ჩვენთაგანი თავის თავზე აიღებს ზრუნვის იმ მცირედ ნაწილს, რომელიც მომავალი თაობის აღზრდისათვის არის საჭირო.

მოვუნოებ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს დაინყოს შესაბამისი პროცედურები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე დედობის დაცვის კონვენციის რატიფიცირების მიზნით და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი განხილვების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მაქსიმალური მონაწილეობა.“

**9.2. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით**

სახალხო დამცველმა სრულიად საქართველოს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა. **8 მარტი** ქალთა შრომითი უფლებების დაცვის, გადწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და ძალადობის აღმოფხვრისაკენ ბრძოლის საკითხებს უკავშირდება.

სახალხო დამცველმა მოუნოდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს დაინყოს მუშაობა სპეციალური დროებითი მექანიზმის — კვოტების შემუშავებაზე, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს თავი დააღწიოს უთანასწორო მდგომარეობას და გაიზიაროს არაერთი განვითარებული, მაღალი დემოკრატიული ღირებულებების მქონე ქვეყნის წარსული გამოცდილება, რომელთაც სწორედ კვოტირების სისტემის მეშვეობით მიაღწიეს გენდერულ ბალანსს.

**9.3. კლოჩე სარე სალი - ეზიდური დღესასწაული**

**19 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს ეზიდურ თემს კლოჩე სარე სალის დღესასწაული მიულოცა და საქართველოში მშვიდობიანი ცხოვრება და კეთილდღეობა უსურვა.

კლოჩე სარე სალი განახლების, გაზაფხულის, ახალი სიცოცხლის, ახალი წლის დანყების სიმბო-

ლოა. ამ დღესასწაულს ეზიდები რამდენიმე დღის მანძილზე სხვადასხვა ტრადიციული საოჯახო და სახალხო რიტუალებით აღნიშნავენ.

**9.4. სახალხო დამცველმა აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებს ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული მიულოცა**

**21 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილის ნოვრუზ ბაირამის სახალხო დღესასწაულს ულოცავს, სიკეთეს, სიხარულსა და ჯანმრთელობას უსურვებს საქართველოში მცხოვრებ ყველა აზერბაიჯანელს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ დღესასწაულის სიხარულს იზიარებს.

საქართველოში ნოვრუზ ბაირამის აღნიშვნა ტრადიციად იქცა. ის გაზაფხულის შემოსვლასა და სიცოცხლის განახლებას უკავშირდება.

**10. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით**

**10.1. ევროკავშირის რეკომენდაციები საქართველოს**

**25 მარტს** ევროკომისიამ და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საქართველოს მიერ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ 2014 წლის ანგარიში გამოაქვეყნეს, რომელიც სამოქმედო რეკომენდაციებსაც გულისხმობს. ევროკავშირის შეფასებით, საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ღრმა და მდგრადი დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დამკვიდრების კუთხით. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, ასევე ადამიანის უფლებათა საკითხებში ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დამტკიცება. ევროკავშირის შეფასებით, გაუმჯობესება შეინიშნება ციხეების სისტემაში და ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

კვლავ დაბალია ანგარიშვალდებულების ხარისხი სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან ჩადენილი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე. საერთო სურათის თანახმად, უმცირესობათა უფლებების საკითხი არსებითად არ გაუმჯობესებულა. მართალია, გაუმჯობესდა მედიათავისუფლება, მაგრამ შეკრებისა და გამოსატყვის თავისუფლება არ იყო სრულად უზრუნველყოფილი 2014 წლის საარჩევნო კამპანი-

ის დროს. ევროკავშირის შეფასებით, „საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად მოსამართლეებს მიეცათ შესაძლებლობა, იყვნენ უფრო დამოუკიდებლები, თუმცა პრობლემას წარმოადგენს მოსამართლეებისთვის სამწლიანი გამოსაცდელი პერიოდის არსებობა მათ უვადო დანიშვნამდე“.

დოკუმენტში ხაზგასმულია რომ სახალხო დამცველის აპარატმა გაზარდა კონტროლი არა მარტო მთავრობაზე, არამედ პარლამენტზეც. ასევე, აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის აპარატში განახლდა პრევენციის ეროვნული მექანიზმი.

ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასების გათვალისწინებით, ევროკავშირის რეკომენდაციაა, საქართველოს ხელისუფლებამ ეფექტიანად განახორციელოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა. ასევე, „ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რისთვისაც ყურადღება უნდა გაამახვილოს პრიორიტეტებზე ადამიანის უფლებების სფეროში და პოლიტიკის შემუშავებისას ასახოს სახალხო დამცველის აპარატის რეკომენდაციები.“

ევროკავშირმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, სახალხო დამცველის აპარატისთვის გამოეყოს საკმარისი რესურსები, რათა ამ სამსახურმა შეძლოს თანასწორობის დამცველი უწყების როლის შესრულება. ასევე, უზრუნველყოს უმცირესობების — მათ შორის რელიგიური უმცირესობების — უფლებების დაცვა.

ევროკავშირის რეკომენდაციის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა „გააუმჯობესოს და უზრუნველყოს პირადი ცხოვრების ხელშეწყობის უფლების დაცვა. ამასთან, ხელისუფლებამ უნდა „აღკვეთოს უკანონო თვალთვალი და მიყურადება: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ვენეციის კომისიასთან კონსულტაციის საფუძველზე გადასინჯოს თვალთვალსა და მიყურადებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა; და გამოიძიოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და უკანონო ქმედებების ფაქტები“.

ანგარიშში შეფასებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებები. ევროკავშირი მოუწოდებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს, კანონის შესაბამისად, წინასწარი პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მხოლოდ გამონაკლისი ზომის სახით, რათა, სხვა პრინციპებთან ერთად, დაცული იყოს უდანაშაულობის პრეზუმფ-

ცია. გარდა ამისა, სამართლიანი სასამართლოს ნორმებთან შესაბამისად უნდა გადასინჯოს ადმინისტრაციული პატიმრობის მარეგულირებელი წესები.

ანგარიშის მიხედვით, 2014 წელსაც პრობლემად რჩებოდა სამართალდამცველი ორგანოების მიერ ჩადენილი დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის არარსებობა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ეფექტიანი და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი. ამასთან, არ ხდება პატიმართა მიმართ ცუდად მოპყრობის ფაქტების სწრაფი და სათანადო გამოძიება. ევროკავშირის რეკომენდაციით, აუცილებელია, გაიზარდოს სამართალდამცველი სტრუქტურების ანგარიშვალდებულების და მათზე დემოკრატიული ზედამხედველობის ხარისხი. ევროკავშირმა მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, „დანერგოს დავების განხილვის დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმი და გამოიძიოს ქონების უფლების დარღვევასთან, წამებასა და ცუდად მოპყრობასთან, ასევე საპროცესო გარიგებების სისტემის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებული საჩივრები“. ამასთან, დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს „სამართალდარღვევები - განსაკუთრებით სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები - და განახორციელოს რეფორმები, ასევე აწარმოოს პენიტენციური სისტემის ეფექტიანი მონიტორინგი“.

ევროკავშირის შეფასებით, „მთლიანობაში საქართველომ წინსვლას მიაღწია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებაში. განსაკუთრებული მიღწევები აღინიშნა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზების პროცესში“.

## 11. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

**11.1 მარტში გამოცხადდა ვაკანსიები:** სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ანალიტიკური დეპარტამენტის სპეციალისტისა და რეგიონული სამმართველოს სისხლის სამართლის სპეციალისტის თანამდებობებზე

**11.2 მარტის თვეში სახალხო დამცველის აპარატში მუშაობა დაიწყო:** თავდაცვის სფეროში

ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა თამარ გაბიანმა და სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსმა თათული თოდუამ. ასევე, რეგიონული სამმართველოს თელავის ოფისის სპეციალისტმა ნათია ფიცხელაურმა.

**11.2. კონკურსი ჟურნალისტებისთვის „კონფლიქტები და მათი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე“**

**26 მარტს** საქართველოს სახალხო დამცველმა ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ მხარდაჭერით გამოაცხადა კონკურსი ჟურნალისტებისთვის „კონფლიქტები და მათი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე“


კონკურსის მიზანია კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების გასაშუქებლად ჟურნალისტთა წახალისება და კონფლიქტი მშვიდობიანი დარეგულირების გზებზე დისკუსიის ინიცირება.

სამ საპრიზო ადგილზე გასულ გამარჯვებულებს ჟიურის წევრები სხვადასხვა კატეგორიაში ქულთა დარიცხვის მეთოდით გამოავლენენ. ეს კატეგორიებია: თემის აქტუალურობა; შესაბამისობა კონკურსის პირობებთან; შესაბამისობა მედიის სტანდარტებთან; გადმოცემის სტილი. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სერტიფიკატებითა და ფასიანი საჩუქრებით. კონკურსში მონაწილეებს გადაეცემათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

**11.3. მომართვიანობის სტატისტიკა**

მარტის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 726 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 644 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 2
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 72
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 242
- რეგიონული სამმართველო — 233
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 33
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 13
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 11
- ანალიტიკური დეპარტამენტი — 9
- თანასწორობის დეპარტამენტი — 28
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 1



**12. კონტაქტი**

**თბილისი:**

ნინო რამიშვილის 6, თბილისი 0179  
 ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877  
 ფაქსი: +99532 913841  
 ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

**ბათუმი:**

მაზნიაშვილის ქ. 9  
 მობ.: 577 50 52 31  
 ტელ.: 0422 27 05 44

**ზუგდიდი:**

კოსტავას 58  
 მობ.: 577 50 52 34  
 ტელ.: 0415 22 36 11

**ახალქალაქი:**

ჭავჭავაძის ქ. 4  
 მობ.: 577 12 27 70 ;  
 577 12 27 71  
 ტელ.: 0362 22 32 83

**თელავი:**

ჩოლოყაშვილის ქ.36  
 მობ.: 577 048267  
 ტელ.: 0350 27 99 27

**ქუთაისი:**

რუსთაველის ქ. 18  
 მობ.: 577 55 33 81  
 ტელ.: 0431 25 33 50

**ბორჯომი:**

სამების ქ. N1  
 მობ.: 577 78 27 42  
 ტელ.: 0370 27 05 49

**მარნეული:**

რუსთაველის ქ. 51  
 ტელ.: 0357 22 19 70

**რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი**  
**სარედაქციო კოლეჯია:**  
**თამარ ხიდაშელი,**  
**თაა ბასიკაძე**